

# PAY მერჩანტის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

**სარჩევი**

თავი I. ზოგადი დებულებები .....	3
1. შესავალი.....	3
2. ტერმინები და განმარტებები .....	3
3. განცხადებები და გარანტიები .....	7
თავი II. PAY მრავალფუნქციური უნაღლო ანგარიშსწორების სისტემა .....	8
1. PAY მრავალფუნქციური უნაღლო ანგარიშსწორების სისტემის ფუნქციონირება.....	8
თავი III. მერჩანტის მიმდინარე ანგარიში და Sმარტივი ბიზნეს ბარათი .....	9
2. მიმდინარე ანგარიში .....	9
3. Sმარტივი ბიზნეს ბარათი.....	10
თავი IV. გადახდების მიღების არხები/საშუალებები და დამატებითი მომსახურებები.....	11
1. ლოკალური და საერთაშორისო ბარათების მომსახურება (გადახდები პოს-ტერმინალის საშუალებით).....	11
2. ბანკის ინტერნეტ ექვირინგის სისტემით სარგებლობა (გადახდები PAY-ზე ლოკალური და საერთაშორისო ბარათებით კომპანიის ვებ გვერდიდან) .....	12
3. სარეზერვო ანგარიში.....	16
4. ელექტრონული არხები.....	16
5. @pay.ge ელექტრონული საფოსტო მომსახურება.....	18
6. eMoney ელექტრონული საფულე .....	19
7. გადასახდებების მიღება.....	19
თავი V. სხვა დებულებები.....	21
1. მომსახურების ტარიფები და პირობები.....	21
2. პასუხისმგებლობის შეზღუდვა .....	22
3. ინტელექტუალური საკუთრება და მარკეტინგული თანამშრომლობა .....	26
4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა.....	26
5. გადასახადები. ....	27
6. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტის წესი .....	27
7. კონფიდენციალურობა და პირადი ინფორმაცია.....	27
8. ფორს-მაჟორი .....	28
9. დასკვნითი დებულებები.....	28
საერთაშორისო საგადასახდებლო სისტემის ჯარიმები .....	31































































## საერთაშორისო საგადასახადო სისტემის ჯარიმები

წინამდებარე დანართში მოცემული საერთაშორისო საგადასახადო სისტემის ჯარიმები არ წარმოადგენს საერთაშორისო საგადასახადო სისტემის სანქციების ამომწურავ ჩამონათვალს, წინამდებარე დანართი არის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში საერთაშორისო საგადასახადო სისტემის რეგულაციებით განსაზღვრული ჯარიმების ამონაწიდი. საერთაშორისო საგადასახადო სისტემა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს და/ან გაზარდოს საერთაშორისო საგადასახადო სისტემის რეგულაციის დარღვევისთვის დაწესებული ჯარიმების სახეები და ოდენობა. კომპანია წინამდებარე ხელშეკრულების 3.1.4 პუნქტის შესაბამისად ვალდებულია მუდმივად გაეცნოს საერთაშორისო საგადასახადო სისტემების რეგულაციებს და მასში შეტანილ ცვლილებებს და უზრუნველყოს მათთან შესაბამისობა. აღნიშნული რეგულაციებით დადგენილი ვალდებულების დარღვევისთვის კომპანიას დაეკისრება ჯარიმა დასახელებული დარღვევისთვის შესაბამის მომენტში საერთაშორისო საგადასახადო სისტემის მოქმედი რეგულაციის მიხედვით.

### 1. საერთაშორისო საგადასახადო სისტემა VISA

#### 1.1. განმსაზღვრელი კრიტერიუმი

1.1.1 კომპანია ექვემდებარება გლობალური ჩარჯბეჭი მონიტორინგის პროგრამის წესებს, თუ მის მიერ განხორციელებული საერთაშორისო ტრანზაქციების რაოდენობა ყოველთვიურად აღწევს ან აღემატება შემდეგ ლიმიტებს:

- 100 ტრანზაქცია
- 100 სადაო ტრანზაქცია (ჩარჯბეჭი)
- სადაო ტრანზაქციების შეფარდება ტრანზაქციების რაოდენობასთან აღწევს 1 %-ს.

1.1.2 საერთაშორისო საგადასახადო სისტემას აქვს უფლება შეცვალოს ან დაამატოს ახალი ყოველთვიური ლიმიტები, კომპანიიდან მიღებული ზიანის განსაზღვრის შემდეგ.

#### 1.2 სადაო ტრანზაქციების სანქციები

1.2.1 მას შემდეგ რაც კომპანია მოხვდება გლობალურ ჩარჯბეჭი მონიტორინგის პროგრამაში, საერთაშორისო საგადასახადო სისტემა თითოეულ მოსულ ჩარჯბეჭე აკისრებს კომპანიას ფინანსურ ვალდებულებას 100 აშშ დოლარის ოდენობით.

1.2.2 იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ვერ ახორციელებს ჩარჯბეჭის რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებულ ქმედებებს, საერთაშორისო საგადასახადო სისტემა იტოვებს უფლებას დააკისროს კომპანიას ჩარჯბეჭის დამუშავების გაზრდილი გადასახადი, მაგრამ არაუმეტეს 200 აშშ დოლარისა თითოეულ მოსულ ჩარჯბეჭეზე.

1.2.3 საერთაშორისო საგადასახადო სისტემა უფლებას იტოვებს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდოს ბანკის მიერ კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება.

### 2. საერთაშორისო საგადასახადო სისტემა MasterCard

2.1 იმ შემთხვევაში თუ კომპანია ფროდის მაღალი შეფარდების გამო მოხვდება საერთაშორისო საგადასახადო სისტემის გლობალურ აუდიტის პროგრამაში, კომპანიას დაეკისრება 5000 აშშ დოლარის გადახდა ყოველთვიურად, შეუსაბამობის აღმოფხვრამდე.

2.2 იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო საგადასახადო სისტემა გადაწყვეტს საერთაშორისო საგადასახადო სისტემის გლობალურ აუდიტის პროგრამაში მოხვედრილი კომპანიის შემოწმებას, ბანკი უფლებამოსილია კომპანიას დააკისროს აუდიტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და ღირებულება.

2.3 კომპანია ვალდებულია ბანკის მოთხოვნის საფუძველზე წარმოადგინოს საერთაშორისო საგადასახადო სისტემის აუდიტის მიერ მოთხოვნილი ყველა სათანადო ინფორმაცია. კომპანიის მიერ ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე კომპანიას დააკისროს 50 000 აშშ დოლარამდე თანხის გადახდა.

2.4 კომპანიის მიერ ისეთი საქონლის/მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, რაც არღვევს ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს, კომპანიას დაეკისრება 100000 აშშ დოლარამდე თანხის გადახდა.

2.5 ბანკი უფლებამოსილია დააკისროს კომპანიას 200 აშშ დოლარის გადახდა საერთაშორისო საგადასახადო სისტემის ჩარჯბეჭის მონიტორინგის პროგრამაში დაფიქსირების თითოეულ შემთხვევაზე, რომელშიც კომპანია მოხვდება თუ მის მიერ განხორციელებული სადაო ტრანზაქციების შეფარდება ტრანზაქციების რაოდენობასთან აღწევს 0.5 %-ს და ჩარჯბეჭის რაოდენობა ბოლო თვეში არის არანაკლებ 50.

2.6 ბანკი უფლებამოსილია დააკისროს კომპანიას 1000 აშშ დოლარის გადახდა საერთაშორისო საგადასახადო სისტემის გადაჭარბებული ჩარჯბეჭის მონიტორინგის პროგრამაში დაფიქსირების თითოეულ შემთხვევაზე, რომელშიც კომპანია მოხვდება თუ მის მიერ განხორციელებული სადაო ტრანზაქციების შეფარდება ტრანზაქციების რაოდენობასთან აღწევს 1 %-ს და ჩარჯბეჭის რაოდენობა ბოლო ორ თვეში არის არანაკლებ 50.